



მიიღე პრადის ნიუ იორკის უნივერსიტეტის დიპლომი ბიზნესის ადმინისტრირებაში

პრადის ნიუ იორკის უნივერსიტეტთან (University of New York in Prague, Czech Republic) თანამშრომლობა BTU-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ერთდროულად ბაკალავრის ორი დიპლომის მოპოვების საშუალებას აძლევს და ჩეხეთში ბოლო სასწავლო წლის გატარებას გულისხმობს.

ნიუ იორკის უნივერსიტეტი პრადაში (University of New York in Prague, Czech Republic) დაარსდა 1998 წელს და მას აქვს ევროპული და ამერიკული აკრედიტაცია. პრადის ნიუ იორკის უნივერსიტეტს აქვს 40-მდე საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამა.

გადადი [ბმულზე](#) და მიიღე მეტი ინფორმაცია პრადის ნიუ იორკის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდიდან.

პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა

პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში ბტუ-ს შესაბამისი პროგრამით არანაკლებ 180 კრედიტის (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში კრედიტის) დაგროვება.

პარტნიორ დაწესებულებაში 1 ECTS=26 სთ.

სტუდენტი, რომელიც ირჩევს აღნიშნულ ორ სადიპლომო პროგრამას, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

სწავლების ენა: ინგლისური

სწავლების ხანგრძლივობა: 1 წელი

მასპინძელ უნივერსიტეტში დასაფარი კრედიტების რაოდენობა: მინიმუმ 60 კრედიტი

პროგრამის საფასური: 9800\$

*შესაძლებელია მცირედით დაკორექტირდეს პარტნიორი დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:
international@btu.edu.ge